ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6099728

ნომერი: AR1920007

თარიღი : 26.08.2022

გაცემის თარიღი : 09.09.2022

გაცნობის თარიღი : 09.09.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქ.თბილისი, ვარკეთილის III მ/რ, კორპუსი N304-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ჯაბა ფსუტური პ/ნ 01007008431
- თბილისი ჟ.შარტავას ქ. N 42 ბ. 33

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 15/06/2022 წლის N5975362 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე :
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 26/08/2022წლის AR1920007 განცხადებით მომართა მოქალაქე ჯაბა ფსუტურმა და მოითხოვა სამსახურის 15/06/2022 წლის N5975362 ბრძანებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, და საზოგადოებრივი საზღვრის დამატებას აღმოსავლეთით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 15/06/2022 წლის N5975362 ბრძანებით, ქალაქ თბილისში, ვიქტორ კუპრაძის ქუჩა, N 17ა (ს/კ 01.19.39.026.008 - ფართობი 270კვ.მ) და ქალაქ თბილისში, ვარკეთილის III მ/რ, კორპუსი N304-ის მიმდებარედ (ს/კ

01.19.39.026.029 - ფართობი 975კვ.მ) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით, დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
2022 წლის 16 ივნისს ბრძანება №ბ.60.01221671 განხორციელდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 15/06/2022 წლის N5975362 ბრძანებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ტექნიკური ხარვეზის გასწორება, კერძოდ გასწორდა საზოგადოებრივი სივრცეები და მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრის მხარე. ასევე 03/08/2022 წლის № 6055880 ბრძანებით შევიდა ცვლილება და დაფიქსირდა ახალი საკადასტრო კოდი ს/კ:01.19.39.026.030 (1245კვ.მ)
წინამდებარე განაცხადით მოთხოვნილია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 15/06/2022 წლის N5975362 ბრძანებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა და საზოგდოებრივი საზღვრების ველში დამატებით აღმოსავლეთის მხრის დაფიქსირება.
საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების შესაბამისად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს საქართველოს კანონმდებლობით სანებართვო დოკუმენტაციის შემუშავებისა და მიწის ნაკვეთის ან/და შენობა-ნაგებობის სამშენებლო განვითარების მიმართ დადგენილი მოთხოვნები.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულსამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
სამსახურს, მიზანშეწონილად მიაჩნია, შეიტანოს ცვლილება 15/06/2022 წლის N5975362 ბრძანებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში და დამატებით საზოგადოებრივ სივრცედ აღმოსავლეთის დაფიქსირება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების თანახმად:

ვბრძანებ

1 . შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 15/06/2022 წლის N5975362 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ:
· „საზოგადოებრივი საზღვრები”-ს ველში დაფიქსირდეს ,,განისაზღვროს ჩრდილოეთით, დასავლეთით, არმოსავლეთითა და სამხრეთით“.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 15/06/2022 წლის N5975362 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან და 16/06/2022 წლის №ბ.60.01221671 ტექნიკური ხარვეზის გასწორებასთან ერთად.

•

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.